ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3979992

ნომერი: AR1599657

თარიღი : 08.05.2018

გაცემის თარიღი : 29.05.2018

გაცნობის თარიღი : 29.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაშლიჯვარი , კორპუსი 1ბ-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ყურაშვილი პ/ნ 20001012362
- თბილისი.შარტავას 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 8 მაისს №AR1599657 განცხადებით მომართა დიმიტრი ყურაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის

23 მარტის №3880813 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანებით ქ. თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, კორპუსი 1ბ-ს მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.080) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2018 წლის 18 აპრილის №3918449 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დასახლება ვაშლიჯვარი, კორპუსი 1ბ-ს მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N 01.10.18.006.080) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 18 აპრილიდან 2019 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

2018 წლის 3 მაისის №3938221 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური ხარვეზი 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანებაში. კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 1686.9 კვ.მ; კომერციულ ფართობად 409.3კვ.მ; საზაფხულო ფართობად 343.7კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 341.1 კვ.მ; ავტოსადგომის ფართობად 345.7კვ.მ; საერთო ფართობად 3126.7 კვ.მ.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: კომერციულ ფართობად 409.3კვ.მ-ის ნაცვლად 398.0კვ.მ-ის, საერთო ფართობად 3126.7 კვ.მ.-ის ნაცვლად 3115.4კვ.მ-ის დაფიქისრებას.

სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 3115.4 კვ.მ, კომერციულ ფართობად 398.0კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 და 2018 წლის 3 მაისის 3938221 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.